საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება №494

თბილისი „18" 04 2019 წ.

„კულტურის ხელშეწყობის" პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N71 ბრძანების ფარგლებში ჩასატარებელი კონკურსის - „სახვითი ხელოვნების სფეროში წიგნი-ალბომების გამოცემის ხელშეწყობა" გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების, განცხადების, საკონკურსო განაცხადის, საკონკურსო განაცხადის დაზუსტების და ანგარიშის წარმოდგენის ფორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 4 მარტის N241 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის - „სახვითი ხელოვნების სფეროში წიგნი-ალბომების გამოცემის ხელშეწყობა" გამარჯვებულების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №468 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ლ" ქვეპუნქტებისა და მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 4 მარტის N241 ბრძანებით გამოცხადებული „სახვითი ხელოვნების სფეროში წიგნი-ალბომების გამოცემის ხელშეწყობა" კონკურსის ფარგლებში რეგისტრირებული საკონკურსო განაცხადების განხილვისა და შეფასების მიზნით კომისიის შექმნის თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 2 აპრილის N425 ბრძანებით შექმნილი კომისიის 2019 წლის 5 აპრილის N1 და 2019 წლის 16 აპრილის N2 სხდომის ოქმების საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2019 წლის 16 აპრილის N439046 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „კულტურის ხელშეწყობის" პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N71 ბრძანების ფარგლებში ჩასატარებელი კონკურსის - „სახვითი ხელოვნების სფეროში წიგნი-ალბომების გამოცემის ხელშეწყობა" გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების, განცხადების, საკონკურსო განაცხადის, საკონკურსო განაცხადის დაზუსტების და ანგარიშის წარმოდგენის ფორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 4 მარტის N241 ბრძანებით

გამოცხადებული კონკურსის - „სახვითი ხელოვნების სფეროში წიგნი-ალბომების გამოცემის ხელშეწყობა“ გამარჯვებული პროექტები:

ა) „სოლიკო ვირსალაძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საიუბილეო ალბომი“ - სსიპ - საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი;

ბ) საიუბილეო წიგნი-ალბომი „ირაკლი გამრეკელი - გმირულ-რომანტიკული თეატრის მხატვარი“ - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი;

გ) „დ. ერმაკოვის მოგზაურობა ირანში“ - სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი;

დ) „თეიმურაზ (მურაზ) მურვანიძე - 80“ - სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია;

ე) „ლითონმქანდაკებლობის ისტორიისათვის წინაქრისტიანულ საქართველოში (ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში) დაცული საგანძურის კვალდაკვალ“ - სსიპ - გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი;

ვ) „რუსთაველის თეატრის სცენოგრაფია 1950-2000 წლები“ - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი;

ზ) „მხატვარი შალვა მაყაშვილი 115“ - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი;

თ) „შალვა ამირანაშვილი -120“ - სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტების განხორციელების დაწყების თარიღად განისაზღვროს არაუადრეს 2019 წლის 22 აპრილი.

3. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე არაუგვიანეს 2019 წლის 19 აპრილისა;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

მიხეილ გიორგაძე
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი